# სახალხო გაზეთი

№ 341 შაბათი, 2 ივლისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 341

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორავანს“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დამატებითი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში, ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მეთხრ ღმები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანის ქ. N 12. ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



„სახალხო გაზეთი“ ½ წლით (1 ივლისიდან წლის ბოლომდის) ღირს 4 მ. 80 კ.

დ. ყვირილაში

„ხორავანის“ სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე“ აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.


„სახალხო გაზეთის“ რედაქცია

აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, 3 ივლისს, ნაშუადღევის პირველ საათზე დანიშნულია პანაშვიდი ქვაშვ. ეკლესიაში დაუვიწყარ

შიო ჩიტაძის

სულის მოსახსენებლად. (2—1)

ამხანაგები და მეგობრები აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას, 3 ივლისს, ნაშუადღევის პირველ საათზე, დანიშნულია პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში ძვირფას

შიო ჩიტაძის

სულის მოსახსენებლად. (2—1)

„სახალხო გაზეთის“ რედაქცია

აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, 3 ივლისს, ნაშუადღევის პირველ საათზე დანიშნულია პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში დაუვიწყარ

ვლადიმერ ბექანის ძე ლორთქიფანიძის

სულის მოსახსენებლად. (2—1)

ამხანაგები და მეგობრები აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას, 3 ივლისს, ნაშუადღევის პირველ საათზე დანიშნულია პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში ძვირფას

ვლადიმერ ლორთქიფანიძის

სულის მოსახსენებლად. (2—1)

დღეს, შაბათს, 2 ივლისს, საღამოს $5^1/_2$ საათზე, თავისუფალ ხელოვანის

გიორგი ივანეს ძის ნატრაძის

გარდაცვალებიდან წლის თავზე, მის საფლავზე (კუკიის სასაფლაო) გადახდილი იქნება პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გარდაცვალებულის დედა და ძმები. (1—704—1)

კნეინა ანასტასია ალექსანდრეს ასული, ელენე კონსტანტინეს ასული, ნიკოლოზ და იოსებ ალექსანდრეს ძენი თ-დნი ბარათაშვილნი აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობართ, რომ სამშაბათს, 5 ივლისს (ტფილ. მაზ.) სოფ. ბორჩალოს ეკლესიაში გადახდილ იქმნება საყვარელი და ძვირფასი

ლადო ბარათაშვილის

გარდაცვალების წლის წირვა, პანაშვიდი და ძეგლის კურთხევა. (2—707—1)

ნინა, გიორგი, მიშა და საშა დიმიტრის ასული და ძენი დაფქვიაშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მამის

სოლომონ ივანეს ძის დაფქვიაშვილის

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ს. რუისში, კვირაცხოვლის სასაფლაოზე, კვირას, 3 ივლისს. (1—705—1)

ქ. შ. წერა-კითხ. გამავრცელებელი საზოგადოების

სამტრედიის განყოფილების გამგეობა

კვირას, 3 ივლისს, 1911 წ. „მ დ ე მ ი ს“ ბაღში გამართავს თავის სასარგებლოდ

საეირნობას.

(3—1372—2) დიასახლისი ქ-ნ ბ. ალხაზიშვილისა, გამგე განყოფილ. გამგეობა.

ქართული დრამატიული საზოგადოების

საზოგადო კრების

გაგრძელება დანიშნულია ორშაბათს, 4 ივლისისა თვის

საღამოს $7^1/_2$ საათზედ ქართულ თეატრში.

განსახილველი საგნები: 1) განხილვა თავ. პავლე იოს. თუმანიშვილის მოხსენებისა, თეატრისა და სცენის საქმეთა რეორგანიზაციის შესახებ, 2) ახალი წევრების არჩევა, 3) არჩევნები გამგეობის წევრებისა იმათ ნაცვლად, რომელნიც თავს ანებებენ გამგეობას. (3—703—2)

ელექტრო-აპოლლო-თეატრი

დღეს, საუცხოვო პროგრამის გარდა,

აჩვენებენ

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის

დასაფლავებას

ტფილისში 26 ივნისს 1911 წელს.

ეს მშვენივრად გამოსული სურათი გადაღებულია საკუთრივ ჩვენი თეატრისათვის. დირექცია. (2—1376—1)

ახალი კლუბი

შაბათს, 2 ივლისს 1911 წ., კლუბის გახსნის დღეს გაიმართება

პირველი საოჯახო საღამო

ქართულ თეატრის სცენაზე ითამაშებენ:

ქართულად „დ ა ვ ა“, 4 მოქ. კომ. გ. ერისთავისა.

რუსულად „შორეული პრინცესა“, კომ. 1 მოქ. ზუდერმანისა.

ბაღში და როტონდაში ბ-ნ ფ. განზეს გამგეობით დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი, ხოლო ოჰანეზაშვილის მეთაურობით საზანდარი.

ჩასაწერი ფასი 1 მ. 75 კ. თითოზე. წევრთა რეკომენდაციით მამაკაცნი გადიხდიან 1 მ., მანდილოსანნი—ათ შაურს, სტუდენტები—25 კ. წარმოდგენის დასაწყისი ხ-ლ. 9 ს. თეატრში შესვლა უფასოა. (2—1375—2)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის ომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—82)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან.

ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღეც და ღამეც. ამბულატორიულ ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

დგებუაძე რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და პარ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი, ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ ს.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. დროებით წასულია.

ხოხოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულხანოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606“-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და ხმა შილაიათ. სათასობით (წ.—1089—501)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

კარედან ყოველ დღე მოსიარულე ავად მყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^1/_2$—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. ვ. ხოხოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“-ით.

(წ.—1090—98)

სურამში

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

ქუთაისში

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, სად. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგ იოსელიანის სახლი. (თ. 1321—23)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით ვერა, ჟორდანიის ქ. N 20. (წ.—1249—51

ექიმი ი. მ ა შ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოს 5—7 ს. გოლოვინისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. —88

ექიმი კბილისა

ისიდორე ჟანტურია

გადავიდა ახალ ბინაზე Служба Сборов-ის გვერდზე, ავჭალის სახალხო აუდიტორიის ახლოს, ჩერქეზოვის ქუჩა (ავჭალის) № 68. (თ.—1329—19)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

სამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარედ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

ახალციხეში

კბილის ექიმი

ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს. „დაჩა“ ტერ-მარქაროვისა. (თ.—1333—14)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი ჯაბამჯიღისა

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 სათ.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უქლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელთოვოზზროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბა. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

უალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-სს

საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის წრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—64)

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზეთ „ნოვოე ვრემია“-ს 26 ივნისის ნომერში „ზატერიანი“ ისევ განაგრძობს თავის საყვარელ საქმეს. ავაზაკობა კავკასიაში, კაცის კვლა, ქურდობა,—ეს გამხდარა ამ „პუბლიცისტის“ მმოპლიური სფერო და ხშირ-ხშირადაც აწვდის ამ გაზეთს მისთვის საინტერესო ამბებს. გაზეთიც, და მისი კორესპონდენტიც, დაინტერესებულნი არიან კავკასიის ცხოვრებით და მათს გულს და გონებას ამ მიზნისათვის შესაფერად მხოლოდ ყაჩაღობისა და ძარცვა-გლეჯის მატიანე მიაჩნიათ. ეს უებარი მეთვალყურე იმდენადაც კი კადნიერდება, რომ პოლიტიკურ პარტიათა ცვალებადობასაც კი ეხება.

„1905—1906 წელს სოციალ-დემოკრატებად ნამყოფმა პირებმა, ახლა სახელი შეიცვალეს და ანარხისტ-კომუნისტებად იწოდებიან, საქიროებისა დაგვარად ტერორისტებადაც. ისინი მოქმედობენ სოფლადაც და ქალაქებშიაც, თითქოს გადაუწყვეტიათ ცხოვრებანი არ ამოასუნთქონ“.

შემდეგ „ზატერიანი“ თავისებურად დაწვრილებით იწერება სხვა და სხვა კუთხეში მომხდარი ყაჩაღების მხრით ადამიანთა ტყვევებაზე და რიხიანად დაასკვნის: ეს ყოველივე იმიტომ ხდება, რომ ადმინისტრაცია ლმობიერად ექცევა მკვიდრთაო. ღირსეული გაზეთის ღირსეული კორესპონდენტი იმდენად კადნიერდება, რომ ავაზაკთა მოქმედებს უპირისპირებს ჩვენი სხვა და სხვა დაწესებულებათა მოქმედებას და ორივეს „ამხანაგების“ მოქმედებათა სახელითა ჰნათლავს.

„კავკასიის ცხოვრების ბარომეტრი ქარიშხალს გვიჩვენებს. ერთმანეთს სცვლიან და ავსებენ „ამხანაგთა“ საზაფხულო საგმირო საქმენი და სხვა და სხვა დაწესებულებათა შეთანხმებული კრებები, სხდომები და სხ. ყოველგან წითელი ძაფივით ემჩნევა ადგილობრივ ადმინისტრაციის მონაწილეობით მომხდარ ამბებს უბადრუკი, საშავ-ბედო პოლიტიკა. „სკანდალებით“ გათავდა ახლახან მომხდარი გუბერნიის თავ.-აზნაურთა კრებები. ფედერალისტმა თავადებმა და ნაციონალისტმა თავადებმა ყოველს საზღვარს გადააბიჯეს და საქმე იქამდის მივიდა, რომ ორი მათგანი კრებიდანაც კი დასათხოვი გახდნენ.

ასე რომ, ავაზაკობა და ჩვენი ადგილობრივ დაწესებულებათა მოქმედებას იგი ერთ ნიადაგზე აყენებს და, სადაც ჯერ არს, შეჰღაღადებს, ნუ დაიკიწყებთ, თუ ყველა ამას როგორი ნაყოფის მოტანა შეუძლიანო. ვინ გაჰბედავს და კიდევ იტყვის: ჩვენ რუსეთში არ გვიცნობენ, ჩვენს ცხოვრებას ყურადღებას არ აქცევენო, როდესაც ღმერთს ჩვენში ასეთი მეთვალყურე ჩამოუთესია, რომელიც ასე ყოველმხრივ იკვლევს ჩვენს ცხოვრებას, რომელიც ასე დათუთქულია ჩვენი უკულტურობით და ველურობით და ასეთ ბრძნულ რჩევას იძლევა! არა, უიმედობა უადგილოა, ჩვენ გვყავან ჰქირისუფლები!

* *

როგორც ვიცით, სტუდენტთა მოძრაობის შემდეგ მრავალმა პროფესორმა სამსახურს თავი დაანება. ასეთმა არაჩვეულებრივმა მოქმედებამ პირველად მთავრობა ცოტა არ იყოს შეაფიქრიანა, მაგრამ ისევ მალე გამოერკვა და „ძლიერი მთავრობის“ პრესტიჟის აღსადგენად, რამოდენიმე კათედრის დაცარიელება აინუნშიაც არ ჩააგდო, გამოიგონა ფრიად ორიგინალური საშუალება პროფესორთა გამოსაზრდელად— ახალგაზრდათა გაგზავნა საზღვარ-გარედ. „რუსკ. სლ.“ ამის შესახებ სწერს:

„ის პროფესორი, რომელმაც თანხმობა განაცხადა უნივერსიტეტში დაენიშნათ (არჩევის ნაცვლად), რა თქმა უნდა, აქ ვერ შეჩერდება და ამ გზაზე განაგრძობს მსვლელობას. ...მისთვის, ამ შემთხვევაში, სულ ერთია, რა კათედრაზედაც დანიშნავენ. ამიტომაც არ არის გასაკვირველი, რომ საერთაშორისო უფლების პროფესორი ინიშნება ენციკლოპედიისა და უფლებას ფილოსოფიის პროფესორად... ამ რიგად, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში პროფესორი-დოსტაქარი კანისა და ვენერიული ავადმყოფობის პროფესორად დაინიშნება, ან და ვარსკვლავთ მრიცხველი, პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე. ვფიქრობთ, რომ ცნებათა ასეთ არევის წინააღმდეგ, თვით ამ ბრძოლის ინიციატორი პურიშკევიჩიც კი გაილაშქრებს.“

# ახალი ამბავი

—ისი

✦ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის საფლავი ამ ჟამად უყურადღებოდ არის მიტოვებული. ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა სატყეოსაბაღოსნო კომისიას, საფლავი გაასუფთაოს და ყვავილებით მორთოს.

✦ ხოლერა. როგორც გუშინ ვწერდით, ტფილისში ხმები გავრცელდა, ხოლერამ იჩინა თავიო. ეს ხმები გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ. მარტყოფის ქუჩაზე, 72 წლის მოხუცი ივანე პანიცკი უცებ ავად გახდა, ხოლერის ნიშნებით. ავადმყოფი დაუყოვნებლივ გაგზავნილ იქმნა ხოლერიანთა სამკურნალოში, სადაც ბაქტერიოლოგიურმა გამო-

კვლევამ აღმოაჩინა, რომ ავადმყოფი ხოლერით არ იყო ავად.

**ხორცის ნიხრი.** ქალაქის სამეურნეო კომისიამ დაადგინა, ძროხის ხორცს გირვანქას ორი კაპეიკი დაუკლოს, ესე იგი 14 კაპ. ნაცვლად 12 კაპეიკად გახადოს, ხოლო ცხვრის ხორცი—17 კაპეიკის ნაცვლად 16 კაპ.

✦ **ქალაქის უძრავი ქონების შეფასება** უკვე დასრულდა. ქალაქის გამგეობამ დიდძალი საჩივრები მიიღო მცხოვრებთაგან, ჩვენი სახლები სწორედ არ არის შეფასებულიო.

✦ **ჭლექთან მებრძოლი კავკასიის საზოგადოების** საგანგებო კომისიამ უკვე შეიმუშავა ზომები, რომელიც უნდა მიღებულ იქმნეს სასწავლებლებში ჭლექის ასაცილებლად. ამ საგნის თაობაზე კომისიამ დაწვრილებითი მოხსენება წარუდგინა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს.

✦ **შეწირულება ქართულ გიმნაზიას.** განსვენებული დ. ზ. სარაჯიშვილის ქვრივმა ეკატერინე ივანეს ასულმა, ორას ორმოცდა ათი თუმანი შესწირა ქართულ გიმნაზიის შენობას საჭიროებისათვის.

✦ **ქართული სასოფლ-სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარის თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილის** მეთაურობით, საზოგადოების წევრთა ერთი ჯგუფი ამ ხანად ადგენს კახელებისადმი მოწოდებას, სადაც მოხსენებული იქნება, რომ საჭიროა დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა ამერიკული ვაზის ნამყენის გაშენებაში. მრავალი წლით და განუწყვეტლივი მუშაობაა საჭირო იმის გამოსაკვლევად, თუ რომელი ჯიში ამერიკული ვაზისა უფრო შეეფერება ჩვენებურ ჰავა-ნიადაგს. საჭიროა ხალხმა დაუცადოს ამ კვლევა-ძიების შედეგს და მხოლოდ მაშინ შეუდგეს საუკეთესო ჯიშის ამერიკული ვაზის გაშენებას. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მთელი კახეთის მევენახეობას დიდი ზარალი მოუვიდეს და ვენახებიც დაიღუპოს.

## წვრილი ამბები

✦ 29 ივნისს, ოქრომჭედლების ქუჩაზე, სთეფო გრიგორის ასულის ოქოევის სახლის მეორე სართულიდან ძირს ჩამოვარდა მუშა მირზა რაგიმ ოღლი, 60 წლისა და მძიმედ დაშავდა.

✦ 30 ივნისს თავი მოიწამლა ნაშადურის სპირტით ნადეჟდა ალექსის ასულმა კუკუშკინამ. თავის მოწამვლის მიზეზი—ნივთიერი უსახსრობაა.

✦ 30 ივნისს ტფილისში შეიპყრეს 45 უპასპორტო.

✦ 26 ივნისს, „სევერნი ნომრებში" მცხოვრებმა ვენის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტმა მიხეილის ქუჩაზე ქისა დაჰკარგა, რომელშიაც 47 მ.ნ იყო.

## სასამართლო

✦ **ლიტერატურული საქმე.** 18 ივლისს, ტფ. ოლქის სასამართლოს სისხლის საქმეთა მეორე განყოფილება გაარჩევს „ზა კავკაზსკაია რეჩ"-ის ნარედაქტორალ რ. ბებიაშვილის საქმეს. სამართალში მიცემულია სისხლის სამართლის მე-1034 მუხლის ძალით.

✦ **გ. ნამორაძისა და ნინო გლურჯიძის საქმე.** კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწემ გენერალმა შატილოვმა გ. ნამორაძეს 4 წლის კატორღა 6 თვის ციხით შეუცვალა, ხოლო ნინო გლურჯიძეს გადასახლება 3 თვის ციხით, ამასთანავე ჩაეთვლება ის დრო, რომელიც მათ ციხეში გაატარეს.

## რკინის გზაზე

✦ რკინის გზის მთავარმა სამმართველომ გამოსცა ბძანება, რომლის ძალითაც ყველა ახლად მიღებული მოსამსახურე, ინჟინრებიც კი, უნდა შემოწმებულ იქმნენ რკინის გზის ექიმთა კომისიის მიერ.

✦ **სად. განჯის** მახლობლად 29 ივნისს, შეიარაღებული მძარცველები თავს დაესხმიან 488 ვერსის დარაჯს კაზაკოვს, ხანჯლით დაუჭრიათ უკანასკნელი, მაგრამ ვერაფერი წაურთმევიათ, რადგანაც არაფერი არ აღმოაჩნდა. გზის მოსამსახურეთ გადაუწყვეტიათ, სთხოვონ მთავარ სამმართველოს რაიმე ღონისძიება მიიღონ მათი სიცოცხლის უზრუნველყოფისათვის.

## პროვინცია

✦ **სოფ. ზემო ხვედურეთი** (გორის მაზრა). ტფილისიდან ჩასული ბოტანიკური ბაღის ფიტ-პატოლოგიური კაბინეტი, რომელსაც დაუთვალიერებია წითელი გორგოშა („სმოროდინა") და გამოუკვლევია გორგოშაზე მოდებული სენი „კონკრიეას ნაცარი". ეს სენი თეთრი ფიფქის მგავსია, ძლიერ ადვილად ვრცელდება და ფოთლებს სრულიად აყრევინებს, შემდეგ კი ბუჩქს მთლად ახმობს. კაბინეტის აზრით, ამ სენის საწინააღმდეგოდ საჭიროა ენერგიული ზომების მიღება. საჭიროა დასნეულებული ტოტები და ხილი მაშინვე მოსცილდეს, გადაიჭრას შემოდგომაზე ან გაზაფხულზე. საჭიროა ბუჩქის ძირში მინერალური სასუქის დაყრა. გაზაფხულზე ნაადრევად უნდა ბლომად მიაპკურონ შაბიამანის სითხე, სანამ ფოთლები გაიშლებოდეს. წამლობა მხოლოდ მაშინაა მარგებელი, როდესაც ჯერ მუქი ნაცარი არ გასჩენია, შემდეგ კი დასნეულებული ბუჩქი უეჭველად უნდა მოაცილონ დანარჩენებს.

✦ **ალავერდის ქარხანა** (ბორჩალოს მაზრა). რეალურ სასწავლებელში კურს დამთავრებული ლეონიდ ვარფოლომეევი, მისულა თავის მეგობარ ჰენრიხ გუბერთან და ბაასის შემდეგ მის ლოგინზე წამოწოლილა. ლოგინ ქვეშიდან გამოუძვრია „ბრაუნინგის" რევოლვერი და ვითომ თვალიერება დაუწყია, როდესაც გუბერი გაბრუნებულა, ეს რევოლვერი გულში უსროლნია და იქვე მომკვდარა. ჯიბეში შემდეგი ბარათი უნახავთ: „მივდივარ უცხო ქვეყნებში სამოგზაუროდ, რათა გავამართლო ანდაზა „რაც გვაბადია არ ვუფრთხილდებით, როდესაც დავკარგავთ, ტირილს მოვყვებით".

## სომხეთა ცხოვრება

✦ **უხვი შეწირულება.** მოსკოვში გარდაიცვალა ცნობილი მდიდარი სარქის ჯანუმიანი, რომელმაც დაუტოვა: ეჩმიაძინის აკადემიას—80,000 მან. და 30,000 მან. სხვა და სხვა საქველმოქმედო საქმისათვის.

✦ **დახმარება სკოლებს.** სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების საბჭომ დაადგინა, მომავალ სამოსწავლო წელს 12,350 მან. გაუნაწილოს 60 გაჭირვებულ სამრევლო სკოლას.

## ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მორიგი კრება.

თავჯდომარემ თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა კრებას მოახსენა, რომ საჭიროა გადასწყდეს, თუ აგრონომიულ დახმარების რომელ ფორმასა სთვლის საუმჯობესად კრება, აზნაური დ. ეგაძის მიერ სოფ. ქვემო-ჭალაში თავად-აზნაურობისთვის შემოწირულ მამულში მოსაწყობად?

კრებამ თათბირის შემდეგ ის აზრი გამოსთქვა, რომ კარგი იქნებოდა სოფ. ქვემო-ჭალაში (გორის მაზრა) გაიმართოს აგრონომიული სადგური და დაადგინა, მოახსენოს თავად-აზნაურთა საკრებულოს, რომ დაახლოვებით აგრონომიული დახმარების ორგანიზაციის შესაქმნელად საჭირო იქნება 5000 მანეთი; დაწვრილებითს ხარჯთ-აღრიცხვას კი წარუდგენს დეპუტატთა საკრებულოს, როცა საამისოდ არჩეული კომისია წარმოადგენს თავის მოსაზრებას, ხოლო მასალის შესამუშავებლად და ამ საკითხის გამოსარკვევად, კრებამ აირჩია სამის კაცისაგან შემდგარი კომისია: ს. თ. ხუნდაძე, ს. ს. ხუთაგური და ე. კარბელაშვილი; ამ კომისიას დაევალა ახლო ხანში შესაფერი მოხსენების წარდგენა.

საბჭომ დაადგინა: ვინაიდან საზოგადოებისათვის ბიბლიოთეკა საჭიროა, ნელ-ნელა შეიძინოს და აგრეთვე მიმართოს მიწათ-მოქმედების და მიწათმომწყობ მთავარმართებლის რწმუნებულს, რომ საზოგადოებას დაუთმონ სამიწათმოქმედო დეპარტამენტის გამოცემანი. ამასთანავე თხოვნით მიმართონ ქართველ გამომცემელთ, რომელნიც სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო წიგნებსა ჰბეჭდავენ.

თვითონ თავჯდომარემ, თავ. დ. მ. ჩოლოყაშვილმა შემოსწირა საზოგადოების წიგნთსაცავს ფრიად ძვირფასი „რუსული სასოფლო-სამეურნეო ენციკლოპედია", დევრიენის გამოცემა, რისთვისაც კრებამ გულწრფელი მადლობა უძღვნა.

ბ-ნმა გ. ქურდიანმა მოახსენა საბჭოს, რომ ივრის ხეობაში ყურძენს მარცვალი სცვივაო. ამ სენით ბევრი ვენახი დაზარალდა. საჭიროა ყურადღების მიქცევა. კარგი იქნებოდა, საზოგადოებამ თავისი სპეციალისტები გაგზავნოს ამ სენის ადგილობრივ გამოსაკვლევად.

საბჭომ დაადგინა: გაიგზავნოს ადგილობრივ სპეციალისტი ბ-ნი ს. თ. ხუნდაძე და მდივანი ე. კარბელაშვილი.

დასასრულს აღიძრა საკითხი რომ ქართული სასოფლო-სამეურნეო ჟურნალი „მოსავლის", გამოცემა და გაძღოლა იკისროს საზოგადოებამ. ამის თაობაზე გამართული თათბირის დროს გამოირკვა, რომ საზოგადოება ჯერ-ჯერობით ვერ იკისრებს ამ საქმეს, ხოლო „მოსავლის" დახმარების შესახებ ახლო მომავალში ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს იქონიონ მსჯელობა.

მომავალი მორიგი კრება ქართ.-სას.-სამ. საზოგადოების საბჭოს, ხუთშაბათს, 7 ივლისს, საღამოს 8 საათზე ექნება, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში (ალექსანდროვის ბაღში).

კრებაზე დასწრება და კამათში მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ აგრეთვე საზოგადოების ყველა წევრთ, სათათბიროს და არა გადამწყვეტის ხმით კრებაზე არა წევრთაც ნება აქვთ დასწრებისა.

## წერილი ოზურგეთიდან

### ლექცია ოტტო ვეინინგერზე.

24 ივნისს, ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში, ბ-ნმა ალ. ჟორჟოლიანმა წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „ოტტო ვეინინგერის თხზულება: „სქესი და ხასიათი" და მისი კრიტიკული გარჩევა". პირველად ლექტორმა აღნიშნა, რომ ვეინინგერის წიგნმა დიდი სენსაცია მოახდინა დღიდან თავის გამოსვლისა; ერთის მხრით მას გაუჩნდა ბევრი დოგმატიური თაყვანისმცემელი, მეორეს მხრივ კი—არა ნაკლები მოწინააღმდეგე მისი დედა-აზრისა. გერმანელმა სტრინდბერგმა, რომელიც თავის დრამატიულ ნაწერებში ქალთა დაუდეგარ მოწინააღმდეგედ გამოდის, დაინახა ვეინინგერის თხზულებაში თავისი აზრის ფილოსოფიურ თეორიული დასაბუთება და ამიტომ დიდ აღტაცებაში მოვიდა.

რუსეთის მწერლობაშიაც სიტყვა-სიტყვით იმეორებენ ვენელთ ფილოსოფოს-მეცნიერის აზრს და ბერდიაევ-მერეჟკოვსკის მისტიურ-ბურუსიანი აზროვნებაც, ვეინინგერის გავლენას უნდა მივაწეროთო, სთქვა ლექტორმა. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ლექტორი ხშირად ურევდა ერთმანეთში მცნებებს: მისტიციზმს და პესსიმიზმს. თუ პირველი წითელი ზოლივით არის გატარებული ვეინინგერის წიგნში, მეორეზე ესევე არ შეიძლება ვსთქვათ. ფილოსოფიურ პესსიმიზმს ევროპაში სხვა უფრო ღირსეული წარმომადგენლები ჰყავს და არა ვეინინგერით იწყება პესსიმიზმის თეორიულად დასაბუთება. ვეინინგერის წიგნში, მაგალითად, ვერც კი შეხვდებით კითხვებს: რანი ვართ, რა არის ცხოვრების აზრი და სხვა... ყველა ეს შეიძლება კაცმა იგრძნოს და არა სიტყვა-სიტყვით ამოიკითხოს მის წიგნში. კაცობრიობის ნახევარი ნაწილის უარყოფის შემდეგ ის ვარდება ერთგვარ პატოლოგიურ მდგომარეობაში, მხოლოდ როგორი იყო ეს სულის სიღრმეში მომხდარი კრიზისი, ამის შესახებ ვეინინგერის ცხოვრება არავითარ პასუხს არ იძლევა და მისი ტრაგიკული ბოლო ერთგვარ ბურუსშიაც ხვევს ამ აქ კითხვის საფუძვლიანად გარკვევა-გაშუქებას.

შემდეგ ლექტორმა მეტად მართალად და შემოკლებით გადმოგვცა თვით წიგნის შინაარსი. დიდხანს მოუნდა ის ქალი და კაცის მცნების ვეინინგერის მიხედვით განმარტვას, რადგან ტერმინს—„Половыя промежуточныя формы"—მან ვერ უპოვა პოპულიარული, მარტივი თარგმანი, ქართული ტერმინოლოგიის მიხედვით. ლექცია მდაბიო მსმენელებისთვის მიუწვდომელი იყო; ამას გრძნობდა თვით ლექტორიც და ამიტომ უცხო სიტყვებით კორიანტელის დაყენებას იმზომ არც კი უფრთხოდა. **ბიხეკსუალობა**, ანუ ქალური და კაცური ელემენტების არსებობა ერთ და იმავე ემპირიულ პიროვნებაში, **დეტუხმენცია**, ანუ მამა კაცის როლი სქესობრივი ქინის დაკმაყოფილებაში, რო-

# უცხოეთის ცხოვრება

2.

**საფრანგეთი.** სამინისტროს კრიზისი.—ძველ სამინისტროს პროგრამა.—საარჩევნო რეფორმის და ჯარის მთავარ-სარდლობის საკითხი.—ახალი სამინისტრო და მისი პროგრამა.—მორიგების სურვილი.—**მაროკო.** გერმანიის ჩარევა მაროკოს საქმეში.—საფრანგეთის გასაჭირი.—ინგლისისა და რუსეთის აზრი გერმანიის მოქმედებაზე.—ომის შესაძლებლობის საკითხი.—ცოტა რამ მაროკოს შესახებ.—საფრანგეთის როლი მაროკოს აჯანყებაში.

ერთბაშად და მოულოდნელად დაეცა მონისის სამინისტრო. მართალია, მისი პროგრამის ზოგიერთი მუხლები საფრანგეთის პალატის საბოლოოდ გაუხდა, მაგრამ საქმე ჯერ არ გამწვავებულიყო და კრიზისის მოლოდინიც არ შეიძლებოდა. მაშ, რამ გამოიწვია კრიზისი? სულ უბრალო შემთხვევამ, გაუგებრობამ. შეიძლება ეს ერთი მხრით საკვირველიც იყოს, მაგრამ იქ, სადაც ხალხის ჭეშმარიტი წარმომადგენლობაა, ამისთანა რამე არავის აკვირვებს. დეპუტატებს ერთი შეწონებიც რომ შეეპაროთ მთავრობის კეთილ-სინიდისიერებაში, მის დასაცემად ესეც კმარა. თუ რამდენად ძლიერია ხალხის წარმომადგენლობა საფრანგეთში, თუ რამდენად ფხიზელი, კეთილ-სინიდისიერი და ხალხის ნამდვილ ინტერესების დამცველი უნდა იყოს საფრანგეთის მთავრობა, ამას კარგად გვაჩვენებს ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელ ხუთ წელიწადში, ე. ი. იმ ხნის განმავლობაში, რაც რუსეთში ერთი სამინისტრო არსებობს, საფრანგეთმა 79 მინისტრი გამოიცვალა. მთავრობა სრულიად უმწიკვლო უნდა იყოს იქ, სადაც ხალხის წარმომადგენლობას ნამდვილი ძალა აქვს, სადაც ეს წარმომადგენლობაა ქვეყნის ბატონ-პატრონი. მთავრობამ ერთი ფეხიც კი არ უნდა გადასდგას მრუდედ, ერთი ორჭოფული სიტყვაც კი არ უნდა წამოიძახოს, თუნდ უნებურად, თორემ მისი საქმე წახდება, დეპუტატთა თვალში წამსვე ნდობას დაჰკარგავს, მაშასადამე, ნდობას დაჰკარგავს ხალხის თვალშიაც, და არასანდო მთავრობა თანამდებობიდან უნდა გადადგეს. ასევე მოუვიდა მონისის სამინისტროსაც. მისი პროგრამის სახიფათო მუხლი ახალი საარჩევნო რეფორმა იყო, ამას ჰყავდა მრავალი მტერი პარლამენტშიაც და სენატშიაც, მაგრამ სამინისტროს დაცემის საბაბი საარჩევნო რეფორმა კი არა, ჯარების მეთაურობის საკითხი იყო. რაკი საფრანგეთს მაროკოში საქმეები გაურთულდა (ამის შესახებ ქვემოდ გვექნება ლაპარაკი), ომის შიშიც გაჩნდა. ადვილი შესაძლებელია, საფრანგეთს ომი მოუხდეს. ამან გამოიწვია საკითხი, თუ ვის ჩაჰბარდეს მხედართ-მთავრობა ომის დროს. სამინისტრო მომხრე იყო, რომ მხედართ-მთავრობა თვით სამინისტროს ჩაჰბარდებოდა, საფრანგეთისათვის ეხლა ცალკე გენერალი საშიშოაო, ამბობდა სამინისტრო. ადვილად შეიძლება ისევ ის მოხდეს, რაც ნაპოლეონის დროს მოხდა, ე. ი. ძლევა მოსილ გენერალს შეუძლიან რესპუბლიკა დასცესო. ამ აზრისა იყო საფრანგეთის სამხედრო მინისტრი. სამინისტროსათვის საბედისწერო დღეს, ამ მინისტრმა, გუარანმა, პალატაში განაცხადა, ეს აზრი პირადად მე მეკუთვნის და სენატშიაც ჩემი პირადი აზრი გამოვთქვიო. ეს გუარანმა რამდენჯერმე გაიმეორა. დეპუტატები დაკმაყოფილდნენ ამ განცხადებით და მორიგ საქმეებზე მშვიდად აპირებდნენ გადასვლას. მაგრამ აქ ერთი შეცდომა მოხდა. სამინისტროს თავმჯდომარე მონისი ავადმყოფობისა გამო კრებაზე არ იყო, მან იუსტიციის მინისტრს პერიეს, რომელიც მთავრობის სახელით უნდა გამოსულიყო პალატაში, ტელეფონითა სთხოვა, ჩემი აზრი პალატას გადაეცი, თანახმა ვარ მორიგ საკითხების გარჩევაზე ჩვეულებრივი წესით გადასვლისაო. პერიემ მონისის სიტყვები სწორედ ვერ გაიგო და პალატაში მთავრობის მხრივ განაცხადა: ეროვნულ თავდაცვის საკითხი იმდენად სამძიმოა, რომ მთავრობას არ შეუძლიან მორიგ საკითხზე ჩვეულებრივ წესით გადასვლას დასთანხმდესო და ამიტომ ნდობის საკითხსა სვამსო. ამ განცხადებამ პალატა გააკვირვა: თუ ის რაც მთავარ-სარდლობის შესახებ გუარანმა განაცხადა, მისი პირადი აზრი იყო, მთავრობა აქ რაღა შუაშია, ნდობის გამოცხადებას რათა გვთხოვსო? მემარჯვენეებმა და ცენტრმა გადასწყვიტეს კაბინეთის წინააღმდეგ მიეცათ ხმა; მათ მხარი დაუჭირეს საარჩევნო რეფორმის მოწინააღმდეგეთ, რომლებიც ამ საკითხში წინა-დღით დამარცხდნენ. ამ რიგად პალატის უმრავლესობამ მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა. ეს იმდენად საკვირველი და მოულოდნელი იყო თვით სამინისტროსთვის, რომ როცა დეპუტატები უყვიროდნენ, კრიზისია, გადადექითო, ისინი მაინც მშვიდად ისხდნენ თავიანთ ლოჟებში და ადგომასაც არა ჰფიქრობდნენ.

მართალია დაცემა მარტო ამ უბრალო შემთხვევამ არ გამოიწვია, ეს მხოლოდ საბაბი იყო. მიზეზი კი ის იყო, რომ საარჩევნო რეფორმას, რომლის მოხდენაც მთავრობას უნდოდა, ბევრი მტერი ჰყავდა. სოციალისტმა ჟორესმა ამის თაობაზე განაცხადა; კაბინეთს უნდა სცოდნოდა, რომ მის წინააღმდეგ საარჩევნო რეფორმის მტერნი იქნებოდნენ და ნდობის საკითხი არ უნდა დაესვაო, კაბინეთის დაცემა თავის მკვლელობაა, ეს თავის მკვლელობა პერიეს შეცდომამ გამოიწვიაო; ეხლა საარჩევნო რეფორმის მოწინააღმდეგენი არც ერთ კაბინეთს მოსვენებას არ მისცემენ, თუ კი იგი პროპორციანალურ არჩევნების მომხრე იქნებაო.

ის საარჩევნო რეფორმა, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი, თხოულობს, რომ პალატაში არჩევნები პროპორციანალურად მოხდეს. ეხლა საფრანგეთში ოლქებრივი არჩევნებია. თითო ოლქი რამდენსამე წარმომადგენელს ირჩევს, ახალ რეფორმის ძალით კი არჩევნები პარტიების მიხედვით იქნება. თითო პარტია იმდენ წარმომადგენელს აირჩევს, რამდენიც მის რიცხვს შეეფერება, ასე რომ უფრო ძლიერ პარტიას მეტი წარმომადგენელი ეყოლება, უფრო სუსტს კი—ცოტა. პალატაში დარჩენილ თავისუფალ ადგილს იმ პარტიებს დაუთმობენ, რომელნიც უმცირესობას შეადგენენ. ამ რეფორმას მოწინააღმდეგენი ზოგიერთ მემარცხენეებშიაც გამოუჩნდნენ. რეაქციონერები ამბობენ, მონისი სოციალურ დაქცევისაკენ მიიწევდა და ძალიან მარცხნივ გადიხარაო და იმ აზრისანი იყვნენ, ვითომც ახალი საარჩევნო რეფორმა რესპუბლიკისათვის საზარალო იქნებოდა.

ამ მოსაზრებებს ხელმძღვანელობდნენ რეაქციონერები, როდესაც საარჩევნო რეფორმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და მონისის დამარცხებას სცდილობდნენ. დამარცხებით კი დაამარცხეს, მაგრამ საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა. საქმე ის არის, რომ ადამიანები უფრო ადვილად მარცხდებიან, ვიდრე იდეია. ასე მოხდა აქაც. თუმცა მონისის სამინისტრო როგორც ერთი მთელი დაეცა, მაგრამ ახალ სამინისტროში მაინც ბევრი ისევ ძველი მინისტრები შევიდნენ: ახალი პრემიერი კაიო, დელკასე, სტეეგი, პამსი, კრიუპი და მესიმი. პირველთ სამს ისევ თავიანთი ძველი პორთფელები დარჩათ, (დელკასე—საზღვაო მინისტრი, სტეეგი—განათლებისა, პამსი—მიწადმოქმედებისა), კაიო პრემიერია და შინაგან საქმეთა მინისტრი. ასე რომ 12 მინისტრში 6 ძველია, 6 ახალი. მინისტრთა ამხანაგი ახალ კაბინეტში 4, აქედან 3 ძველია. როგორც ვხედავთ, ახალი კაბინეთი იგივე ძველი კაბინეთია, მხოლოდ ცოტა შევსებული და შესწორებული. რადიკალ-სოციალისტებს კაიომ რადიკალები დაუმატა და ამ რიგად ახალი კაბინეთი შეჰქმნა. მისი პროგრამაც ამ გვარადვე ნარევია. იგი ბრიანისა და მონისის პროგრამებისაგან შესდგება. თუ ბრიანმა მარჯვნივ გაიწია და დაეცა, სამაგიეროდ მონისი მარცხნივ გაწევამ დაამარცხა. კაიომ კი საშუალო პროგრამა აირჩია. ამ რიგად კაიო სცდილობს იმ წერტილზე დასდგეს, რომელიც პალატის უმრავლესობასა და მთავრობას შეაერთებს. მაგრამ ვინ იცის, იპოვა კაიომ ეს წერტილი თუ ვერა. ამ ნახევარ წელიწადში ასეთი ცდა მესამეა. კაბინეტთა ხშირ-ხშირმა შეცვლამ დიპლომატები იმ აზრთან მიიყვანა, რომ ამდენ კრიზისების გათავება, მხოლოდ პალატის დათხოვნით შეიძლებაო.

რას მოახერხებს ახალი კაბინეთი, ამას შემდეგი გვიჩვენებს, მაგრამ მისი ხიფათი ის არის, რომ რესპუბლიკანური უმრავლესობაც შერყეულია და ახალ სამინისტროს პროგრამაც ძველისას წააგავს. ის საშუალო ადგილი, რომელიც ახალმა სამინისტრომ დაიჭირა, პალატის ორივე ჯგუფს (პროპორციონალისტები და მეოლქეები) ორჭოფულ მდგომარეობაში აყენებს. აღარ იციან, ვინ გაიმარჯვებს. ამიტომ გადაჭრით ვერც ერთი ჯგუფი ვერა ჰმოქმედობს. როცა ახალ კაბინეთს ნდობა გამოუცხადეს, აღმოჩნდა, რომ ორივე ჯგუფის წევრებმა გამოუცხადეს ეს ნდობა. კაბინეთის წინააღმდეგ ხმა მისცეს მემარჯვენეებმა და პროგრესისტების უმრავლესობამ. მრავალმა სოციალისტმა კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღო. ჟორეს იმედი აქვს, რომ ახალი მთავრობა მეოლქეებს, (ე. ი. ოლქებრივ არჩევნების მომხრეთ) მხარს არ მისცემს. კამათი გვიჩვენებს, მთავრობა უარს იტყვის საარჩევნო რეფორმაზე თუ არაო.

ასეა საქმე გამწვავებული. მორიგება კი საჭიროა. ამიტომ ამას ბევრნი ცდილობენ. საქმის მოსაწესრიგებლად პალატისა და სენატის მემარცხენე ფრაქციებმა გადასწყვიტეს შეადგინონ დელეგაცია. ასეთი დელეგაცია კომბის მინისტრობის დროსაც იყო. დელეგაციის მოვალეობა იქნება განუწყვეტელი დამოკიდებულება იქონიოს მთავრობასთან და კერძო ჯგუფებსაც ხელმძღვანელობა გაუწიოს. ამ რიგად დელეგაცია შუა-მავალია, რომელიც მუდამ მორიგებას ეცდება. დელეგაციის შესადგენად პარტიებმა ბლოკი უნდა შეჰკრან. დელეგაციის პირველ კრებაზე კომბი თავჯდომარეობდა. კრებაზე სურვილი გამოსთქვეს, ბლოკში სოციალისტებმაც მიიღონ მონაწილეობაო, მაგრამ კომბმა განაცხადა, ამსტერდამის კონგრესის დადგენილებით სოციალისტებს ბლოკში შესვლის უფლება არა აქვთო. მართალია-და სოციალისტები ბლოკში არ შედიან, მაგრამ მის კრებებს კი ესწრებიან. ამას საჭიროება მოითხოვს. ბლოკი ეხლა მთავრობასა და პალატის შემაერთებელი კავშირი იქნება და რეფორმის მოხდენაშიაც იგი დიდ როლს ითამაშებს. სოციალისტებმა ბლოკზე რომ ხელი აიღონ, საარჩევნო რეფორმა ადვილად ჩაიფუშება, მით უმეტეს, რომ თვით ბლოკის ხელ-მძღვანელი კომბა რეფორმას არ თანაუგრძნობს. მისი

მელიც მოწადინებულია ვნების მოკვლით გაფანტოს უჯრედებში დაგროვილი ენერგია, **კონტრექტაცია**, ანუ ქალთა სექსუალობის მოუწყვეტელი ზრდა განვითარება, რომელიც დამახასიათებელია იმისა-თუ როგორ სექსუალობა ქალისათვის არის ყოვლაფერი და თვით ის უკანასკნელად იქცევა უნივერსალურ სექსუალობად, აი, დაახლოვებით ყველა ის, რაც სთქვა ლექტორმა ვეინინგერის თხზულების პირველი ბიოლოგიური ნაწილიდან. გაკვრით მან მოიხსენია ჰომოსექსუალობა, გერმაფროტიდები ქალთა და კაცთა ფიზიოლოგიურ-ანატომიური შემადგენლობა, მაგრამ სრულებით საჭიროდ არ სცნო მათი შესაფერად განმარტება. ჩვენის აზრით კი ბიოლოგიურმა ნაწილმა ლექციაში ბევრი დაჰკარგა ხსენებული ადგილების გაუგებრად გადმოცემისაგან.

ყველა ამის შემდეგ, ბუნებრივად იბადება კითხვა ქალთა მოძრაობის შესახებ. ვეინინგერი მას უარჰყოფს; ფემინისტური, ან პარტიული მოძრაობა, დიდ სისულელედ მიაჩნია, მხოლოდ ქალი უნდა გათანასწორდეს მამაკაცთან სულიერ-ზნეობრივი თვისებებით, რაც შეუძლებელია იმ ღრმა განსხვავების მიხედვით, რომელიც ბუნებისაგან ჩანერგილია კაცის და ქალის პსიხიკასა და აზროვნობაში. ქალი მხოლოდ გრძნობაა, ის გრძნობიერების განხორციელებაა და ამიტომაც სექსუალობა მისთვის ყველაფერია. კაცი არის სექსუალობა და კიდევ სხვა რამე; მას აქვს: „მეს“ იდეია, შემოქმედებითი ძალა, სწრაფვა მარადისობისადმი და სხვა.... ქალი არ შეიძლება იყოს გენიოსი, რადგან მას არა აქვს სწრაფვა უკვდავებისადმი; უკანასკნელი გულისხმობს წარსულით ცხოვრებას, მის ნათლად წარმოდგენას, მაგრამ ყველა ეს შეუძლებელია ქალისთვის, რომელსაც ღალატობს მეხსიერება, არ აქვს ნათელი, უმწიკლო წარმოდგენა წარსულში მომხდარ ამბებისა და ამავე დროს კი გენიოსობა უნივერსალურ მეხსიერების განხორციელებაა. ქალს არ აქვს ლოღიკა, რადგან ის ვერ ურიგდება საზოგადოდ ნორმატიულ დისციპლინის კანონებს, და კერძოდ არ აქვს უნარი ცნებათა გამომუშავებისა, რადგან მას აქვს მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა რამისა და არა მისი საფუძვლიანი ცოდნა. ქალი აზროვნობს გენიდებით, მას არა აქვს ცნებათა და წარმოდგენათა სასტიკი დიფფერენციაცია, ერთი სიტყვით, ქალს არ აქვს „ინტელექტუალური სინიდისი“, როგორც ამას ამბობს თვით ოტტო ვეინინგერი. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ლექტორს არ განუმარტავს კაცური და ქალური სიყვარული, სიყვარული ეროტიული, სულიერ-ღვთაებრივი და სიყვარული სქესობრივი, ხორციელ-მატერიალური. სრულებით არ აღუნიშნავს ვეინინგერის აზრი ეგრედ წოდებული თანდაყოლილი ცოდვის შესახებ, რომლისაგან გამოსყიდვის სურვილი კაცს შერჩენია და ქალი კი მის ხელში უბრალო იარაღია. ერთი სიტყვით, ლექტორმა, ბევრი ორიგინალური აზრები ვეინინგერის წიგნის ფილოსოფიურ-ფსიხოლოგიური ნაწილიდან, უყურადღებოდ დასტოვა და რაც სთქვა, ისეთი ტონით და ინტონაციით, რომ გულ-უბრყვილო მსმენელს ვეინინგერი შეშლილ ადამიანად დაეხატებოდა. საზოგადოდ, წიგნის მეორე ნაწილი კონსპექტიური იყო და ეს დიდ ნაკლულევანებად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც მხოლოდ ამ ნაწილში სჩანს ფილოსოფიური მხატვრული შემოქმედება ვეინინგერისა. არა ნაკლებ კონსპექტიური იყო წიგნის ბიოლოგიური ნაწილიც. ჩვენის აზრით, ლექტორს ან არ უნდა ეკისრნა წიგნის შინაარსის გადმოცემა, თორემ რაკი ერთხელ გადაწყვიტა მსმენელებისთვის ვეინინგერის წიგნის შინაარსის გაზიარება, აქ ადგილი არ უნდა ჰქონოდა შემოკლებას და ეს მით უფრო, რომ თითოეული თავი ვეინინგერის წიგნში, შეადგენს აუცილებელს გადასასვლელ საფეხურს შემდეგ თავში და ასე, ვიდრე წიგნის დასასრულამდე. სრულებით გამოსტოვა ლექტორმა თავი ებრაელების შესახებ.

დასასრულ ლექტორმა თავისი კრიტიკული შენიშვნებიც გადმოგვცა. მან დაუპირდაპირა ვეინინგერის მეტაფიზიკურ-კრიტიკულ ფილოსოფიას ისტორიული მატერიალიზმის თვალსაზრისი და წინდაწინვე განაცხადა, რომ ჩემი მოსაზრება იქნება არსებითი, პრინციპიალურიო. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ვეინინგერის „სქესი და ხასიათის“ გაკრიტიკება, რომელიც შეიცავს სპეციალურ კითხვაზე სპეციალურ კაპიტალურ შრომას, ითხოვს სპეციალურ ცოდნითვე აღჭურვილ კრიტიკოსს, რომელსაც შეუძლია სხვა ნიადაგზე იდგეს, მხოლოდ კითხვის გადაჭრაში კი დეტალური, დასაბუთებული ფაქტებით იხელმძღვანელოს. სწორედ ამ მხრით კოჭლობდა ბ-ნ ჟორჟოლიანის ლექცია. მისი მოსაზრებანი „სოციალურ პსიხიკის“, პსიხო-ფიზიოლოგიურ პარალელიზმისა და სხვათა შესახებ, ჩვენ მხოლოდ ლამაზ სიტყვებად მოგვეჩვენა. საკითხის არსებითად გაშუქებისათვის საჭირო იყო რომელიმე სპეციალისტ-მკვლევარის მოსაზრების წინ წამძღვარება, რადგან ლექტორის საკუთარი შეხედულება საზოგადო, პრინციპიალურ მოსაზრებას არ გასცილებია. ვერც ერთი ეს ლექტორმა ვერ შესძლო და ამიტომ უმჯობესი იქნებოდა დაკმაყოფილებულიყო იმ საზოგადო შენიშვნებით, რომელიც მან ლექციის დასაწყისს წარუმძღვარა და სამაგიეროდ კი მეტი ემუშავნა წიგნის შინაარსის უფრო ვრცლად და საფუძვლიანად გადმოცემისათვის. საერთოდ ლექციამ კარგი შთაბეჭდილება ვერ დასტოვა.

**Duo.**

## ხმა გურიიდან

დ. ჩოხატაურში **26** ივნისს აკურთხეს ახლად აგებული საავადმყოფოს შენობა. კურთხევას დაესწრო გუბერნიის ექიმის თანაშემწე ბ. ტერტეროვი, ბათომიდან და ლანჩხუთიდან მოპატიჟებული ექიმები, თ.-აზნ. წინამძღოლი თ. კ. ერისთავი, სამღვდელოება და ადგილობრივი საზოგადოება.

კურთხევის შემდეგ ქართულად და რუსულად სიტყვები ითქვა. შემდეგ დეპუტაციამ სთხოვა გუბერნიის ექიმის თანაშემწეს, დახმარება აღმოუჩინოს საავადმყოფოს, ფერშლის მომატებით, გახსნას მახლობელ სოფლებში ქსენონები და სხვა. ბ. ტერტეროვიც დაჰპირდა დახმარებას და თან ადგილობრივ ექიმს ბ. არეშიძეს და საზოგადოებას მადლობა გადაუხადა ასეთი კარგი შენობის აგებისათვის.

საავადმყოფოს აგებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ექიმს მ. გ. არეშიძეს, თ. გრ. თავდგირიძეს და ბოქაულს დ. გ. კალანდიას, რისთვისაც მათ საზოგადოებამ დიდი მადლობა გადაუხადა. შემდეგ ნადიმი გაიმართა. მიწვეული იყო ასამდე ქალი და კაცი. ჩოხატაურის სამოქალაქო სკოლის დაარსების თაობაზე დადგენილი განაჩენი გუბერნატორს ხელმეორედ წარუდგინა. დირექცია წინააღმდეგი არ არის. მხოლოდ საზოგადოების წარმომადგენლებს ოქმი მოსთხოვა, რათა საზოგადოებამ იკისროს სკოლის შენახვა, სანამ მთავრობა ამ საქმისათვის სამი ათას მანეთს გადასდებს. წარმომადგენლებმა ამ დღეებში გაუგზავნეს ასეთი განაჩენი.

ფიქრობენ, ჩოხატაურის საბოქაულოს სამხედრო საკრებულო ჩოხატაურში გადმოიტანონ. მარშალი თ. კ. ერისთავი თუ მოინდომებს, მთავრობა წინააღმდეგი არ იქნება. საჭიროა მხოლოდ შენობის აგება, რაც ცხრა საზოგადოებას არც ისე ძვირად დაუჯდება, მით უმეტეს, რომ ფიქრობენ ისეთი შენობა აგონ, სადაც მოთავსდება თეატრი და სამკითხველოც. აბრეშუმის პარკის მაზანდა **14—15** და **16** მანეთია. მოსავალი კი ნაკლები იყო, მიუხედავად იმისა, რომ თესლი ბლომად იყო დარიგებული. საზოგადოდ ყველა ფირმის თესლმა დაიკლო წელს, რამაც დიდი ზარალი მოუტანა ღარიბ ხალხს.

მოსავალი ჯერჯერობით გურიაში გვარიანია, თუმცა გვალვის გამო თესვა დაგვიანდა.

—ა.

## წერილი ფოთიდან

სულ ორი წელიწადია, რაც ნ. ლოლუას ასულმა აქ დაარსა ჭრა-კერვის საქალებო სკოლა. ამ სკოლის საქმე მკვიდრ ნიადაგზე იყო დაყენებული. ქალებს ჭრა-კერვისა და ქსოვა-ქარგვის გარდა წერა-კითხვას და სამღვთო სჯულს ასწავლიდნენ ქართულად და რუსულად.

თვითონ გამგე და დამაარსებელი ამ სკოლისა განათლებას მოკლებული ადამიანია, უბრალო, პირველ დაწყებითი ცოდნაც არა აქვს მიღებული. მიუხედავათ ამისა, მან მაინც საკმაო ცოდნა შეიძინა ჭრაკერვისა და ქარგვის საქმეში: არ დაიშურა ენერგია და რამოდენიმე ხნით თავის ხელობის გასაუმჯობესებლად ტფილისში წავიდა. შემდეგ, როდესაც საკმაო მომზადება მიიღო ზოგიერთ კეთილის მყოფელთა დახმარებით მან ამ ორი წლის წინეთ დაარს ზემოხსენებული სკოლა. ამ გვარი სკოლა ფოთელების ცხოვრებაში იშვიათი იყო და ამიტომ ყველანი ალტაცებით მიეგებნენ მას; ქალაქის თვით-მმართველობაც შესაფერისს დახმარებას უწევდა ამ სკოლას და ამ გვარად საქმე კარგად მიმდინარეობდა.

მაგრამ საუბედუროდ საქმე შეფერხდა. პირველ მაისს მეზობლის

## მაროკოში მომხდარი ამბების გამო




აზრით პროპორციონალური წარმომადგენლობა რესპუბლიკანელ ელემენტს დაასუსტებს, და ამიტომ საჭიროა, მთავრობის განზრახვას, რომელიც შემრიგებელ ფორმულას ეძებს, ხელი უნდა შეეწყოს. კომბის თანაგრძნობამ კაიოს კაბინეთის გამაგრებას ხელი შეუწყო, მაგრამ სადამდის მიიყვანს ეს ბლოკი საფრანგეთის მთავრობის და პალატის გამწვავებულ მდგომარეობას, შემდეგი გვიჩვენებს.

* * *

საფრანგეთს მარტო შინ არა აქვს საქმე აწეწილი, მაროკომ ლამის ომამდე მიიყვანოს. აქამდის საფრანგეთი მარტო ისპანიას ედგა პირისპირ, ეხლა კი გერმანიამაც გაიწოდა მაროკოსაკენ ხელი. არ ეგონა საფრანგეთს, რომ გერმანია ასე მოიქცეოდა. იმიტომ კი არა, ვითომ გერმანია მეგობრობისათვის არ იზამდა ამას, არა, იმიტომ არ ეგონა, რომ დარწმუნებული იყო გერმანიას იქ, მაროკოში, ინტერესები არ გაუჩნდებაო. როდესაც მაროკოს განაწილებაზე ერთხელ ლაპარაკი ჩამოვარდა, ერთი პირობა იმაზედაც კი დაიწყეს ფიქრი, თუ გერმანიას როგორ დავუდოთ წილიო, მაგრამ გერმანიამ დიდ ხანს არ აფიქრა ხალხი. თითონ იპოვა მიზეზები. ჰო-და, რა! თუ კი სუსტი ისპანია მაროკოში ჩასარევად მოახერხებდა მიზეზების პოვნას, დიდ გერმანიას რაღა დაუშლიდა? თუ კი ისპანიამ სთქვა, ჩემი გავლენის სფერაში უწესოებაა, კაცი მომიკლესო, განა გერმანია ვერ იპოვიდა საბუთს? მით უმეტეს, რომ მას მარტო გავლენა კი არა, მაროკოში მთელი ეკონომიური ცხოვრება ჰქონია. აგადირის გარშემო მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოება ჰქონიათ გერმანელებს. (ესე განაცხადა თითონ, თუმცა სხვები ამას უარსა ჰყოფენ). ამიტომ გერმანიამ ისპანიასავით განაცხადა, აგადირში უწესოება და არეულობაა და ჩემი ქვეშევრდომები შველასა მთხოვენო. ძალიან გამამართლებელი საბუთია იმისა, რომ გერმანიამ აგადირში თავისი კანონერკა (დიდი ნავი ორი ზარბაზნით) გაჰგზავნა. საფრანგეთმა გერმანიას ისევე უპასუხა, როგორც ისპანელებს, ამისთანავე განცხადებაზე: აგადირში არავითარი უწესოება არ არის და კანონერკის გაგზავნა საჭირო არ იყოო. მაგრამ მას არც ისპანიამ და არც გერმანიამ არ დაუჯერეს. პირიქით, საფრანგეთის პროტესტზე ისპანიამ იმით უპასუხა, რომ ლარიშში გადასხმული ჯარი ელკსარშიაც გაჰგზავნა, ხოლო გერმანიამ კი... განაცხადა: კანონერკა „პანტერა“-ს, რომელიც აგადირში გავგზავნე, შეკეთება სჭირია, ამიტომ კანონერკა უკანვე დავიბარე და მის სამაგიეროდ კრეისერსა (დიდი საყარაულო გემი რამდენიმე დიდი ზარბაზნით) ვგზავნიო; ამით გერმანიამ დემონსტრაცია მოახდინა და საფრანგეთს დაანახვა, რომ მისი პროტესტებისა არ ეშინიან. საფრანგეთმა ეს რასაკვირველია იცოდა, მაგრამ ერთმა გარემოებამ დააფიქრა: როცა ისპანია ჩაერია მაროკოს საქმეში, ლაპარაკი დაიწყეს, მის ზურგთ უკან ვიღაცა იმალება თორემ მარტო ისპანია ამას ვერ გაჰბედავდაო. ეჭვი ინგლისზე შეიტანეს. მაგრამ მოულოდნელად გერმანია გამოტყვრა. ეხლა ყველა დარწმუნებულია, რომ გერმანიასა და ისპანიას შორის საიდუმლო ხელ-შეკრულება უნდა იყოს დადებული. ცუდ დღეში ჩავარდა საფრანგეთი. მიჰმართა ინგლისსა და რუსეთს.

ინგლისის საზოგადოებრივი აზრი ძალიან აღელვა გერმანიის საქციელმა. აგადირში არაფერი არ მომხდარა და გერმანიის საქციელს არავითარი გასამართლებელი საბუთი არა აქვსო. ზოგი გაზეთები მეტსაც ამბობენ, აგადირში გერმანელები არ არიან და მაშასადამე გერმანიას დასაცავი არავინა ჰყავსო. ასეთი აზრისანი არიან ინგლისური გაზეთები, მაგრამ ინგლისის მთავრობა კი გადაჭრით არას ამბობს. ერთი რამ კი ცხადია, ინგლისი ვერ მოითმენს, რომ გერმანიამ აგადირი დაიჭიროს. აგადირი ისეთი ნავთ-საყუდარია, რომელიც ჰიბრალტარის სრუტეს მუდამ კრიჭაში ედგება, ამას გარდა აგადირი იმ კოლონიების გზაზეა, რომლებიც ინგლისს სამხრეთ-აფრიკაში აქვს. ამ რიგად ცხადია, რომ აგადირის თავისუფლება ინგლისისათვის აუცილებლად საჭიროა. ერთი პირობა, ინგლისის მინისტრებმა გადასწყვიტეს კიდეც აგადირში სამხედრო გემის გაგზავნა „აგადირში მყოფ ევროპიელთა დაცვაში გერმანიის მისაშველებლად“. ესევე განზრახვა ჰქონდა საფრანგეთსაც. მაგრამ ჯერ-ჯერობით არაფერი გაუგზავნიათ. კიდევ დროს უცდიან. აი პასუხი, რომელიც საფრანგეთმა ინგლისისაგან მიიღო, როდესაც საფრანგეთმა მას მიჰმართა. აქ რასაკვირველია მხედველობაში არ არის ის პასუხები და მოლაპარაკებანი, რომელიც საიდუმლოდ მოხდა. რუსეთმა კი საფრანგეთს ასე უპასუხა: მხარს დაგიჭერ, მაგრამ მხოლოდ დიპლომატიურ მოლაპარაკებაშიო. აქტიურად საქმეში ჩარევა არ შეუძლიან რუსეთს. მისი ყურადღება ორ მხარეს არის მიქცეული. ამ მხარეებს მოსთქმის მეტი ინტერესი აქვს, ვიდრე მაროკოს საქმეს. ეს ორი მხარე შორეულ-აღმოსავლეთი და ახლო-აღმოსავლეთი გახლავთ. შორს ჩინეთი ეშმაკობს. იქ მეტად დიდი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები აქვს რუსეთს, ახლო აღმოსავლეთში კი ალბანელებისა და ბალკანეთის საქმე. აქ, ბალკანეთზე რუსეთს თავის ტრადიციების დაცვა მოუხდება, თუ საქმე გართულდა. აი, ეს ორი მიზეზი ნებას არ აძლევს რუსეთს მაროკოს საქმეში ჩარევისას. ამას გარდა, ვინ კ იცის, ჩაერეოდა თუ არა, ეს ორი მიზეზიც რომ არ იყოს. მაროკოსაკენ მას მხოლოდ სახელი და მეგობრობა იწვევს. საზოგადოდ ევროპაში ომი ეხლა საშიშია. მართალია სახელმწიფონი ისე იქცევიან, რომ კაცს ეგონება ესენი ომზე ერთი წუთითაც არ დაფიქრდებიან ისე უნდათ ყველას ომიო, მაგრამ ნამდვილად ასე არ არის. შეიძლება ომზე უარი არავინა სთქვას, თუ კი ორი თანასწორი ძალა შეხვდება ერთმანეთს, მაგრამ ევროპაში საქმე ეხლა ისეა დაყენებული, ისეა შეწონილი სახელმწიფოთა ძალები, რომ ყოველი უბრალო ომი, ადვილად იქცევა საერთაშორისო ომად. ამას გარდა, ევროპის სახელმწიფოთა ყურადღება მარტო მაროკოსაკენ არ არის მიქცეული. ბალკანეთზედაც თვალი უნდა ეჭიროთ. მოხდება თუ არა ომი ამას თქმა ძნელი საქმეა. მაროკოშა, რომ ომი მოუხდეთ, მაგ., საფრანგეთსა და ისპანიას, იქ გერმანია და ინგლისი უკან აღარ დაიწევენ. თუ ესენი ამ საქმეში ჩაერევიან, ბალკანეთი მათ უყურადღებოდ დარჩებათ და აქ სხვები გაითარეშებენ და მაროკოს ომში ჩათრეულები ბალკანეთზე ხახა მშრალები დარჩებიან. ასევე მოხდება, თუ ომი ბალკანეთზე დაიწყო. გერმანია, ავსტრია, იტალია ინგლისი და რუსეთი ჩაერევიან ამ საქმეში მაროკო კი სხვებს დარჩებათ. მაგ. საფრანგეთსა და ისპანიას. ეს ისეთი მდგომარეობაა, რომლის თავიდან მოშორება ძნელია. ამისთანა პირობებში ომი, რა თქმა უნდა ადვილი არ არის. ორ-პირ ომს კი ვერც ერთი სახელმწიფო ვერ მოახერხებს. მით უმეტეს, რომ პირის-პირ უძლიერესი სახელმწიფონი დგანან. მაგრამ ეს მოსაზრება ომის მოლოდინს სრულიად ვერ გააქარწყლებს. ერთი უბრალო შემთხვევა საკმარისია, რომ ომი ატყდეს.

დღევანდელ ნომერში დაბეჭდილია მაროკოს ქარტა. რომ უფრო ადვილი გასაგები იყოს მაროკოს გეოგრაფიული მდებარეობა და ის ინტერესი, რომელიც სახელმწიფოთა აქვთ მაროკოში, მოვიყვანთ მოკლე გეოგრაფიულ ცნობებს ამ სახელმწიფოს შესახებ. მაროკო აფრიკაშია და ჩრდილოეთ-დასავლეთით მდებარეობს, სწორედ იქ, სადაც ევროპასა და აფრიკის შორის ზღვის ვიწრო ყელია, სახელად ჰიბრალტარის სრუტე. სრუტე სიგანით 2 ვერსამდეა, ასე, რომ ამ ადგილას ევროპა და აფრიკა მხოლოდ ორი ვერსით არიან ერთმანეთზე დაშორებული. ამ ვიწრო ყელში ევროპის მხარეს ჩასახლებულია ინგლისი, აქ ისპანიის ბოლოში ერთი ციხე აქვს აშენებული. სახელად ჰიბრალტარი. მეორე მხარეს აფრიკაში, მაროკოს მიწა-წყალზე ისპანიასა აქვს ციხე სეუტა. ასე რომ ეს ვიწრო ყელი, რომელიც ერთად ერთი მოსახერხებელი გზაა ევროპის დასავლეთ ნაპირებიდან ინდოეთსა და აზიისაკენ, ხელში ჩაუგდია ამ ორ სახელმწიფოს. ისპანია სუსტი სახელმწიფოა და მის სეუტასაც არც ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ინგლისის ჰიბრალტარას. ამიტომ ამ ვიწრო გზაზე ინგლისი ბატონობს. მაროკოც ამ ვიწრო გზას ზედ პირზე აკრავს. ამიტომა, რომ მას ასეთი მნიშვნელობა აქვს ევროპისათვის, თორემ მაროკო თავის თავად არას წარმოადგენს. იგი არც ძალიან მდიდარი ქვეყანაა და მის, სამხრეთითაც დედამიწაზე უდიდესი უდაბნო სახარა იწყობა. მაროკოს მეზობლად მდებარე სახელმწიფოში ალჟირში საფრანგეთი ბატონობს. თვით მაროკო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ითვლება. მას განაგებს სულთანი. ახლანდელი სულთანი მულაი-ჰაფიდი, რომელსაც ხალხი აუჯანყდა. აჯანყების მეთაურად სულთანის ძმა იყო. მას ტახტის ხელში ჩაგდება უნდოდა. მაროკო ნაშთია ძველი არაბების ევროპაში ბატონობისა. იგი ბარბაროსულ ქვეყნად ითვლება. ეხლანდელი სულთანი განთქმულია, როგორც ხალხის მტაიჯველი და სასტიკი დესპოტი. ამბობენ იგი ადამიანის სატანჯველად ათას საშუალებას ხმარობსო. როცა მას ხალხი აუჯანყდა, განაცხადა, არ გვინდა ასეთი სულთა მხუთავი სულთანი, რომელიც უბრალო ქურდობისათვის ადამიანსა ჰკლავსო. სულთანი აჯანყებულ ხალხს ვერ გაუძლებდა, საფრანგეთი რომ არ მოშველებოდა, არ დაემარცხებინა ტახტის მაძიებელი და ქვეყანა ხმლით რომ არ დაემშვიდებინა. მართალია, დამშვიდება შეიძლება დროებითი იყოს, მით უმეტეს, რომ დამარცხებული ძმა სულთანისა დაჰმორჩილდა, მაგრამ ერთი რამე კი უნდა ითქვას. დამშვიდება ჯერ შორს არის. მხოლოდ იარაღით ბრძოლას თავი დაანება დამარცხებულმა ხალხმა, მაგრამ ეს ხომ სრულ დამშვიდებას არა ჰნიშნავს? სამივე სახელმწიფომ, რომლებიც კი მაროკოს საქმეში ჩაერივნენ, საფრანგეთმა, ისპანიამ და გერმანიამ განაცხადეს მაროკოს მაშინ დავანებებთ თავს, როცა იქ სრული მშვიდობიანობა ჩამოვარდებაო. მაროკოს დამშვიდება კი ძნელია. უმალ სახელმწიფონი გაიყოფენ მას, ვიდრე იგი დამშვიდდებოდეს. ამის მიზეზი ის არის, რომ მაროკოს სახელმწიფოებრივი წესწყობილება დამშვიდებას ხელს ვერ შეუწყობს. მაროკო მთლად უნდა გარდიქმნეს, მისი ძველი წეს-წყობილება ძირიანფესვიანად უნდა შეიცვალოს, რომ იგი რიგიან გზას დაადგეს და სახელმწიფოთა შორის სადაო-სახრავი ძვალი არ იყოს.

ა. ტ.

შენობას ცეცხლი გაუჩნდა და ქ-ნ ლოლუას ბინა და საკლასო ოთახები ცეცხლს მიეცა; ზარალი დიდი მოუვიდა. მიუხედავად ამისა სკოლის გამგემ ნანგრევებში მოაწყო საკლასო ოთახები და ისევ განაგრძო სწავლება.

აი, ამ გვარი ენერგიით სავსე ადამიანი უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდა; დღეს იგი იძულებულია საკმაოდ მოზრდილი სახლი ააშენოს, რომ სკოლამ ისევ-ისე განაგრძოს არსებობა და ამიტომ საერთოდ ყველა გულ-შემატკივართა და კერძოდ კი ფოთელების მოვალეობას შეადგენს დახმარება გაუწიოს ბ-ნ ლოლუას ასულს საქმის ხელ-მეორედ კარგ ნიადაგზე დაყენებაში, რომ ამ გვარად მისს კარგ მაგალითს სხვებმაც მიჰბაძონ და ჩვენ კულტურულ საქმეებს წინ წაწევა ეღირსოს.

ლ. გ.

## დიდუბის ეკლესიის გარშემო

გაზეთებში ატეხილ კამათის გამო დიდუბის ეკლესიის წარსულ-აწმყო მდგომარეობაზე, ორიოდე სიტყვა მსურს გავუზიარო მკითხველებს.

დიდუბის საეკლესიო სკოლაში ორ წელიწადს ვმასწავლებლობდი. შეგირდებს შევასწავლე ქართულად ისეთი რთული საგალობლები, როგორც მაგ.: წყალობა მშვიდობა, შენ გიგალობთ, ღირს არს ჭეშმარიტად, მამაო ჩვენო. ყველა ამ საგალობლებს პატარა მოწაფეები ყველა ტომისა და სარწმუნოებისა, ვისაც კი კარგი ხმა ჰქონდა, გალობდნენ წირვაზე კვირაუქმე დღეებში. ყოველ ორ შაბათობით კი მთელ წირვას ვაგალობებდი რუსულ-ქართულად. ერთი მალაკნის დედაკაცი წამეჩხუბა კიდეც, რათ აგალობებ ჩემ შვილს თქვენს ლოცვებსაო.

ამის გარდა, საბალოსნო სკოლის ქართველმა შეგირდებმა მთხოვეს, გვასწავლე ქართული საერო-საეკლესიო სიმღერა-საგალობლები, ხან და ხან გამოვიყენებთ სოფელში, ან ქალაქშიო. მე დიდი სიამოვნებით მოვკიდე ხელი ამ საქმეს, ჩქარაც შეისწავლეს და დიდუბის ეკლესიაში ჩემ შეგირდებთან ერთად ვაგალობებდი. თუმცა რუსული გუნდი ცალის თვალით გვიყურებდა, რომ საგალობლებს შუაზე უყოფდით, მაგრამ ხმას ვერა გვცემდნენ, რადგანაც წინამძღვრის განკარგულებით ვგალობდით და საგალობლებსაც მისი ნებართვით ვყოფდით.

ორშაბათობით, მრავალ მლოცველთა შორის, ქართველებიც მოდიოდნენ დიდუბის ეკლესიაში, ქართულად პარაკლის-პანაშვიდების გადახდას თხოულობდნენ. მე ჩემის ნებაყოფლობით ვასრულებდი დიაკვნის თანამდებობას, რადგანაც მოყვარული ვიყავი გალობისა, ვშველოდი როგორც მ. კალ. ცინცაძეს, აგრეთვე მ. იროდიონ გურგენიძეს და არ მახსოვს ან ერთს, ან მეორეს უარი ეთქვათ ვისთვისმე, ქართულად კი არა, რუსულად სხვებთან ერთად გადაგიხდითო პანაშვიდ-პარაკლისსაო.

ტიტე ვარდიაშვილი.

## ნოქართა ცხოვრებიდან

### სოხუმი.

აქაურ ვაჭრებისათვის დუქან-მაღაზიების გაღება-დაკეტვის დრო არ არსებობს. ინათებს თუ არა, სავაჭროებს აღებენ და ღამის ათ—თერთმეტ საათამდე ღიაა. ნოქარშეგირდები ამ დროს განმავლობაში მუშაობენ. ღამ-ღამე და კვირა უქმე დღეებში სავაჭროები გარედგან დაკეტილია, შიგნით კი ნოქარშეგირდები დახუთულ ჰაეში მუშაობენ. ხელოსან ქარგალ-შეგირდთა მდგომარეობა ხომ აუწერელია. მათი მუშაობისთვის არავითარი ნორმა არსებობს. ნოქარ-მოსამსახურეთა უმრავლესობა დაკეტილ დუქნებში იძინებს, სადაც ჰაერი დახუთული და მოწამლულია. თუ ასეთ უწესოებაზე რომელიმე მსახურთაგანმა ხმა ამოიღო, პატრონი ქუჩაში გაისტუმრებს „თავხედ“ ხელ-ქვეითს. მათ არც ზოგი ნოქრები ჩამორჩნენ და პატრონის მოსარჩლეობას კისრულობენ, ავიწყდებათ, რომ თვითონაც ნოქრები არიან.

ი. ჩხარელი.

## უცხოეთი

### საფრანგეთი.

— მკითხველებმა უკვე იციან, რომ საფრანგეთის სოციალისტებმა ჯარში ომის საწინააღმდეგო პროპაგანდა გასწიეს. ამან ჩხრეკა და დატუსაღება გამოიწვია. გაჩხრიკეს შრომის ბირჟა, რომელსაც აუარებელი პოლიციელები შემოარტყეს. ჩხრეკას ხელმძღვანელობდა ქ. პარიზის პოლიციის პრეფექტი ლეპინი. გაჩხრიკეს აგრეთვე რამდენიმე წევრი მუშათა სინდიკატებისა. ეძებდნენ ანტიმილიტარისტულ და რკინის გზის მოსამსახურეთა მოქმედების სათავეს. ჩხრეკამ დიდი პროტესტი გამოიწვია სოციალისტებისა და შრომის გენერალურ კონფერენციაზე. ამბობენ, ჩხრეკის დროს, ძალიან სცდილობდნენ ეპოვნათ ნიშნები რევოლუციონური პოლიციისა, რომელიც ამ მოკლე ხანში შესდგა. ამ ახალმა დაწესებულებამ, როგორც მკითხველებმა იციან, უკვე აღმოაჩინა პროვოკატორთა ბუდე.

ერთ პოლკშიაც იყო ჩხრეკა, ზოგიერთ სალდათებს ანტიმილიტარისტული წიგნები უპოვეს. დამნაშავენი სამართალში იქმნენ მიცემულნი. სოციალისტები გაბრაზებულნი არიან. ჩხრეკის თაობაზე პალატაში შეკითხვა უკვე შეიტანეს. იმავე დღეს, 24 თიბათვეს, სოციალისტები ხელ-ახლად შეეკითხნენ მთავრობას, მიიღებთ თუ არა გაფიცვის გულისათვის რკინის გზის სამსახურიდან დათხოვნილ მუშებსაო. სოციალისტებმა პალატაში ისეთი ყვირილი ასტეხეს, რომ კაიომ ძლივს გასცა პასუხი. რის შემდეგაც ნდობის საკითხი დასვა. პალატამ 361 ხმით, წინააღმდეგ 81-სა, მთავრობას ნდობა გამოუცხადა.

როგორც ეტყობათ, სოციალისტები ძალიან გაბრაზებულნი არიან. გადაწყვეტილი აქვთ, ყოველ კრებაზე ობსტრუქციები და უწესოებანი მოახდინონ და ამით პროტესტი განუცხადონ მთავრობას, რომელიც დათხოვნილ მუშებს უკან არ იღებს.

### ჩინეთი.

კანტონიდან ექვსი მილის მანძილზე მეკობრეები რამდენიმე ნავით თავს დაესხნენ ინგლისის საბუქსირო გემს, რომელიც ნავთით იყო დატვირთული. მეკობრეებმა გემის მოსამსახურენი შეჰკრეს და უბრძანეს უკან გამოგვყევითო. ეს ამბავი ინგლისის ელჩს შეატყობინეს. ელჩმა ჩინეთის მთავრობას მოსთხოვა, დაუყოვნებლივ იპოვეთ გემი და გადაარჩინეთო. ჩინეთის მთავრობამ მთელი თავის საზღვაო და ხმელეთის პოლიცია ფეხზე დააყენა და ელჩს დაჰპირდა, გემსაც გავანთავისუფლებთ და მეკობრეებსაც დავსჯითო.

გერმანული გაზეთები, რომლებიც შანხაისა და ცზიანდაოში იბეჭდება, ამბობენ, რომ თუ ავერიკელებმა საიმპერატორო არხზე გაიჩინეს, ცზიანდაო ბევრს იზარალებს და ჩინეთისა და გერმანიის კეთილ-მეზობლური განწყობილება დაირღვევაო. ცზიანდაო ხავთ-საყუდარია, ჩინეთში მას დიდი გავლენა აქვს და გერმანიის ხელშია.

ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ, გაი-ვუბუმ, ციციკარის გუბერნატორისაგან დეპეშა მიიღო. ამ დეპეშით გუბერნატორი ატყობინებს გაივუბუს, რომ რუსეთისა და ჩინეთის კომისიაში, რომელმაც რუსეთ-ჩინეთის საზღვრები უნდა გამოარკვიოს, უთანხმოება ჩამოვარდაო. რუსები ჩინეთის მიწა-წყალზე მიწის დიდ ზოლს ითხოვენ, ეს მიწა კი დიდი ხანია ჩინეთს ეკუთვნისო. კომისიის ჩინელი წევრები გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან და გადაჭრილ ინსტრუქციებსა თხოულობენ სამოქმედოდო.

რუსები ამბობენ, ეს მიწა ჩვენია, ჩინელებმა იქ რადგანაც ააშენეს, გოთამ ძველი ისტორიული შენობები იყოს და ეხლა იხემებენო.

## თეატრი და ხელოვნება

**დ. ხონი.** 26 ივნისს აქაურ თეატრში „კაი გრაკხი“ წარმოადგინეს. ბ-ნი ზარდალიშვილი (კაის როლს ასრულებდა) კარგი იყო, მიუხედავად იმისა, რომ დასუსტებული იყო წარმოდგენის წინ ორი დღის ავადმყოფობის გამო. კარგები იყვნენ აგრეთვე ბ-ნი შალიკაშვილი (ოპიმი) და ქ-ნნი ჯავახიშვილი (კორნელია) და შოთაძე (ლიცინია). როგორც სცენის მოყვარენი, მშვენივრად ასრულებდნენ თავიანთ როლებს ბ-ნნი ვ. კაკაბაძე (დრუზი) და ი. ქავჭანიძე (ფულვი). დანარჩენებიც ანსამბლს ხელს უწყობდნენ. ერთის სიტყვით, პიესამ მწყობრად ჩაიარა და დამსწრე საზოგადოება მეტად ნასიამოვნები დარჩა.

თეატრი გაჭედილი იყო.

ბილეთების გაყიდვის შემდეგ, იძულებული იყვნენ კონტრამარკები გამოეშვათ, მაგრამ ყველას დაკმაყოფილება შეუძლებელი გახდა: ბევრი გულ-დაწყვეტილი უკან გაბრუნდა.

კარგ პიესებს საზოგადოება ყოველთვის სიამოვნებით ესწრება. მით უმეტეს, თუ კარგი შემსრულებელნიცა ჰყავს.

ჩემის აზრით „კაი გრაკხს“ მეორეჯერაც დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრება.

საზოგადოდ, რადგან ხონში, ღვთის თუ ჩვენის წყალობით, ასეთი კარგი ძალები გვყავს, საჭიროა დრამატიული დასის გამგეობამ შინაარსიანი პიესები მიაწვდინოს ხალხს, და, ეჭვს გარეშეა, საზოგადოება უფრო მადლიერი დარჩება, სარგებლობაც და შემოსავალიც მეტი იქმნება.

L'aiguillon.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 თიბათვე.

### საზღვარ-გარედ.

**პარიზი.** პარიზის მუნიციპალიტეტმა უარჰყო სოციალისტების მიერ შეტანილი ფორმულა, რომლითაც მორიგ საქმეებზე უნდა გადასულიყვნენ და რომელიც შრომის ბირჟაზე მომხდარ ჩხრეკას პროტესტს უცხადებდა.

ფინანსთა მინისტრმა პალატაში 1912 წ. ხარჯთ-აღრიცხვა შეიტანა.

**რომი.** სტეფანის სააგენტო ერიტრეიდან იტყობინება 25 თიბათვეს რას-მაკელისა და რასვულის რაზმებს ბრძოლა აქვთო.

**ოტტავა.** ტყეს ცეცხლი უკიდია. ცეცხლში 50 კაცი დაიწვა და 200 დაშავდა. ოქროს მადნების ოლქში გაშენებული ქალაქები კოჩრენი, პერკიუპაინი და პოტტსვილი დაინგრა. ხალხი ასობით დაიღუპა. გვალვა ცეცხლის გაძლიერებას ხელს უწყობს.

**თავრიზი.** შახსევანელებმა და ყარაჯადაგებმა ყაჩაღობა გააძლიერეს. უწესოება თავრიზს უახლოვდება. მიდამოებში მცხოვრებნი ქალაქს გარბიან. ვაჭრობა და სურსათის ზიდვა შეჩერდა.

**ბელგრადი.** სლოვიანელ ჟურნალისტებს ქალაქმა ბანკეტი გაუმართა. ბანკეტზე ინციდენტი მოხდა. რუსმა დელეგატმა ბაშმაკოვმა ილაპარაკა და ყველა სლოვიანებს შეერთება ურჩია. ბაშმაკოვის შემდეგ ილაპარაკა პოლონელმა სტასიმ. წინ თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: მადლობელნი ვართ ბელგრადის ქალაქისა, რომელიც პოლონელებს ასეთი ყურადღებით მოგვეკიდნენ. ეს ყურადღება წვრილმანამდისაა მიყვანილი და იმით გამოიხატება, რომ ჩვენთვის უსიამოვნო რუსული ეროვნული გიმნი პროგრამიდან იქმნა გამოტოვებულიო. ეს რომ რუსმა დელეგატებმა პროკოფიევმა და ვერგუნმა გაიგეს პროტესტი განაცხადეს და რუსულ გიმნის ასრულება მოითხოვეს. ორკესტრმა გიმნი დაუკრა. პოლონელები გიმნის ასრულების დროს ისხდნენ, ხმა მაღლივ პროტესტს აცხადებდნენ და ბოლოს პოლონური გიმნის „ჯერ არ მომკვდარა პოლონეთი“-ს დაკვრა მოითხოვეს. ორკესტრმა ეს გიმნიც შეასრულა. რუსმა დელეგატებმა გაიგეს, რომ რუსული გიმნი პროგრამიდან შემთხვევით კი არა, განგებ იყო გამოტოვებული, და ბანკეტს თავი დაანებეს.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატაში დამოუკიდებელი პარტია და კოშუტის პარტია სამხედრო კანონის წინააღმდეგ ისევ პროტესტს აცხადებენ.

**მონასტირი.** ტოსკას თემის მოძრაობა კორჩავის კაზაში ძლიერდება. მიუხედავად მთავრობის განცხადებისა ფლორინის კაზაში ბოლგარელებს ისევა ჰხოცავენ. მოჰკლეს ბოლგარელი მღვდელი. ოსმალელების შოვინიზმი ქრისტიანების წინააღმდეგ ძლიერდება.

**უსკიუბი.** დაატუსაღეს ისსა ბოლეტინაცის ცოლის-ძმა. ამის შემდეგ ისსა ბოლეტინაცი სოფ. ბელაიას გაიქცა.

**სალონიკი.** ხოტიმას მახლობლად ბერძენმა ყაჩაღებმა მდიდარი ვაჭარი დაატუსაღეს და სასყიდელსა თხოულობენ.

**პარიზი.** სააპელაციო სასამართლომ რუე ჯაშუშობისათვის სამი წლით ციხე და 1000 ფრანკი ჯარიმა მიუსაჯა.

მთავრობამ 1 თიბათვისათვის განზრახულ დემონსტრაციები აკრძალა.

### რუსეთი.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტროში დაარსდა საუწყებათაშორისო კომისია იმის შესახებ, რომ 1912 და 1913 წლეებშიაც მიეცეთ ქალაქებს დასახმარებელი თანხა პოლიციის შესანახად.

**ხაბაროვსკი.** შტალმეისტერის გონდატის თავმჯდომარეობით სამეცნიერო, სამეურნეო, სავაჭრო და სამრეწველო გამოფენის საორგანიზაციო კრება შესდგა ამურის მხარეში, რომელიც ხაბაროვსკში უნდა გაიმართოს 1913 წ. რომანოვთა გვარის 300 წლის მეფობის აღსანიშნავად.

**სიზრანი.** ბერეზოვკაში სენგილეევის ოლქში 60 სახლობა გადაიწვა.

**პეტერბურგი.** სამინისტრო მოქმედო დაწესებულებამ ნება დართო ჩრდილოეთის სამეურნეო საზოგადოებას ლიბავაში 1912 წ. გამართოს სრულიად რუსეთის თესლეულობისა და მანქანების გამოფენა.

**ვიატკა.** ორლოვის ოლქში შავი ჭირით ავად გახდა 5 კაცი, 1 მოკვდა.

**კალუგა.** საავადმყოფოში მოვიდა ორი გლეხი, რომელთაც შავი ჭირი აღმოაჩნდათ.

### ფრენა

**ნიკოლაევი.** ავიატორი ხიონი „ანტუანეტით“ აფრინდა 350 მეტრზე.

## მოწოდება

ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო შეუდგა თავის წიგნთსაცავის შედგენას, რაიც ფრიად საჭიროა მის წესიერ მოღვაწეობისთვის. საბჭო აპირებს აგრეთვე ამ ახლო ხანში გამომცემლობის დაწყებას. რათა საზოგადოების საბჭოს იმ დარგის წიგნების გამოცემა არ მოუხდეს, რომლის შესახებაც შეიძლება უკვე არსებობდეს რიგიანი სახელმძღვანელო,—ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭო უმორჩილესად სთხოვს ყველა იმ პირთ, რომელთაც კი გამოუციათ რაიმე წიგნები სასოფლო-მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ, გამოუგზავნონ საზოგადოებას ორ-ორი ცალი ამ მისამართით:

Тифлисъ, Барятинская 5
Грузинскому сельско-хозяйственному Обществу.

რისთვისაც საზოგადოება დიდი მადლობელი დარჩება.

თავმჯდომარე: თ. დ. ე. ჩოლოყაშვილი.
მდივანი: ე. კარბელაშვილი.

## წერილი რედ. მიმართ

ღარიბ მოწაფეთა შემწეობისთვის ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი, უღრმეს მადლობას უცხადებს ეკატერინე ივანეს ასულს სარაჯიშვილის ქვრივს, ორას ორმოცდაათი თუმნის შემოწირვისათვის ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობის საჭიროებისათვის.

საზოგადოების კომიტეტი.


# განცხადებანი

## დოქტ. ნავასარდიანისა

უოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დილით:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა შინაგანი და ნერვების.
**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მუღდანი:** 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ბეგტიხანაცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. ში, გან. და საბავშვო.
**ბ. გ. აგაბაროვი:** 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

საღამოთი:

**ქალ. ექ. პ. ხ. ზილბერშაცი:** 6—7 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო. მ. ვეევსკაია-ენგელი:** 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. ვარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ. (1168—72)

მშობიარეთათვის

# თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.
მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს.
(თ.—1083—57)

მუხრანის ხიდთან

# სამკურნალო

გაიხსნა
მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს უოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ატენიანცი ნ. ა.** ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.
**ნ. მ. ახპიხოვი**—(მედ. ექ.), ყურისა ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.
**გ. ა. ახვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.
**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებათ დილის 10—11 საათ.
**ტ. ი. გეორგ-ბეგიანი**—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.
**კ. ა. გონიევი**—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.
**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.
**ი. გ. კალამკაროვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.
**ა. ი. კატანიანი**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.
**მ. დ. კილოხანიძე**—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.
**გ. ა. მელქონიანი**—ქირურგ. სნეულ-5—6 ს.
**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**— ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.
ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606“-ით.
დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.
სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—98)

— საჭიროა გამოცდილი —

# ფერშალი

ს. ქალდუაში. იწვევს აფთიაქის მპყრობელი სამსონ ქ. ჯიქია. დაწვრილებ. პირობები წერილით, რომლისთვისაც საჭიროა 7 კაპ. ფოსტ. მარკა.
(2—1369—2)

ქუთაისში ყოველ დღიური ქართული გაზეთი

# „კოლხიდა“

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი.
ხელის-მოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს, რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე 4 მან. და 10 შაური. პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე 4 მ., სამი თვით 2 მ. და ხუთი შაური, თვით 80 კ.
საზღვარ-გარედ: წლიურად 12 მ. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 7 მან., თვიურად ექვსი აბაზი. თითო ნომერი ერთი შაური.
ადრესის გამოცვლა: ქუთაისიდა ქუთაისზე—10 კაპ., დანარჩენ შემთხვევებში 40 კ.
განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი სამი შაური, უკანასკნელზე 10 კ.
სამგლოვიარო განცხადება სამი მანეთი.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება გაზეთ «კოლხიდა»-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდის, საღამ. 5-დან 7 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

# იყიდება შემდეგი წიგნები:

**არჩილ ჯორჯაძისა:** „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი 75 კაპ.
**Baton-ისა:** „ერი და კაცობრიობა განხილული სოციოლოგიური მხრით“.—ფასი 1 მან. 20 კაპ.
**ვ. უიფიანისა:** „სამეგრელოს მთავარი ბატონიშვილი ლევან“—ისტორ. დრამა—ფასი 40 კაპ.
ზემო აღნიშნული წიგნები იყიდება აგრეთვე გოლოვინის პროსპექტზე „ახალი სიტყვის“ („Новая рѣчь“) წიგნ. მაღაზიაში და ქუთაისში—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

# ძმ. ძეგველოვების

● მაღაზიას ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

# ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

# ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო ჰაიხუნი ხიზილალა
გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.
წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.
და ბელა-რებაც 50 კ.
აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ—1052—)


სტამბა „ხორავანი“, მადათოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.